დიდება ჩვენს პარტიას!

დღეს მოსკოვში მუშაობას შეუდგება სკკპ XXV ყრილობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 სამშაბათი 24 თებერვალი № 45 (16475) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბრიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენი მესაჭე

ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი, — ასე განსაზღვრა დიდმა ლენინმა კომუნისტური პარტიის არსი. და ასეთი, გონების, ღირსებისა და სინდისის აბსოლუტური მფლობელი პარტიის უკეთესთა შორის უკეთესი შვილები დღეს ოცდამეხუთედ იკრიბებიან კრემლში, სადაც, თითქოსდა გუშინ ყოფილიყო, ფეთქავდა ამ პარტიის დამაარსებლისა და სულისჩამდგმელის მხურვალე გული, კაცობრობას წუკდიადს რომ უნათებდა მისი გენიალური აზრი.

ჩვენი მშობლიური პარტიის ეს ყრილობა გაანალიზებს მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული შრომის, მასების წინამძღოლი კომუნისტთა თხუთმეტმილიონიანი არმიის მეცხრე ხუთწლედში დაუღალავი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგებს და დასახავს ახალი ხუთწლედის პერსპექტივებს. და პროექტი, რომელიც ქვეყნის მშრომელმა მასებმა როგორც საკუთარი სისხლხორცეული საქმე, თავიანთ სულსა და გულში გაატარეს, პროგრამად იქცევა, და დაიწყება მორიგი შტურმი კიდევ უფრო მზიური მომავლის ახალი მიჯნებისა.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დგას საყრილობო ვახტზე, რათა ღირსეული შრომითი დიდების ბიმნი უძღვნას პარტიას. მუშები, გლეხები, ჩვენი ინტელიგენცია — ახალი კულტურის მშენებლები — როგორც არასოდეს, მჭიდროდ დარაზმულან ლენინის ალისფერი დროშის ქვეშ და ერთი იდეით ძმურად შეკავშირებულნი ისწრაფვიან უკეთესი მერმისისაკენ.

სულ ახლახან უმაგალითოდ მაღალ იდეურ და პოლიტიკურ დონეზე გამართულმა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ლენინურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას უპატაკა მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულება, შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური, სულიერი და კულტურული პროგრესის ამოცანათა გადაწყვეტისათვის ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება, რესპუბლიკის სულიერი ცხოვრების გამდიდრება.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აღუთქვა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს ლენინის მითითებებით, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიის ერთიანობას, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებს კომუნისტური მშენებლობის ახალი, გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ, რესპუბლიკის ყველა თაობის, ყველა ეროვნების კომუნისტები, მშრომელები მოვალენი ვართ თავდადებულნი ვიყვნეთ ამ ბრძოლაში, მით უფრო მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების დღევანდელ კეთილნაყოფიერ ვითარებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დადგენილებაში მოცემულია აღმავლობისა და წინსვლის ნათელი გზები. „მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანად.—ვკითხულობთ ამ საპროგრამო დოკუმენტში, — ჩათვალოს კომუნისტური პარტიის იმ კურსის თანმიმდევრული განხორციელება, რომლის მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირად გაუმჯობესების საფუძველზე“.

ყველა ხუთწლედი, ცხადია, გულისხმობდა თვითეული ჩვენგანის სინდისსა და პატიოსნებას მათი შესრულებისათვის ბრძოლაში. მეათე ხუთწლედში ამ სინდისისა და პატიოსნების როლი განსაკუთრებით ხაზგასმულია, რადგან ეს ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია, ხოლო ხარისხიანი შრომა და დევიზი — მუშური გარანტია ხარისხის ხუთწლედს! სხვა არაფერია, თუ არა სინდისიერი შრომა. ეს მარტო დაზვის მუშას როდი ეხება! შრომა ხომ სახელისა და ღირსების საქმეა. მან გმირული შრომის ვახტზე, საქართველოვ! შეეურწყოთ ჩვენი შრომა მთელი ჩვენი დიდებული ქვეყნის შრომას!

დღეს კრემლის ყრილობათა სასახლისაკენ მივაპყრობთ მზერას და სიყვარულის სითბოთი ვმოსავთ ყრილობის თვითეულ მონაწილეს, პირადად ვიცნობთ მას თუ არ ვიცნობთ, რადგან ის კი ვიცით, რომ იგი კომუნისტებმა წარგზავნეს თავიანთ დელეგატად. ჩვენ, მშობლიური სითბოთი ვმოსავთ ყრილობის დარბაზში საქართველოს დელეგაციას, ახალგაზრდაა თუ ხანდაზმული ამ დელეგაციის შემადგენლობაში, მეფოლადეა თუ მევენახე, მეჩაიეა თუ მეცხოველე, მეცნიერია თუ მეშახტე, მწერალია თუ ხელოვანი, პარტიული თუ საბჭოთა მოღვაწე — ვისაც გავატანეთ რესპუბლიკის მხურვალე გულისფეთქვა, ფიქრები და ოცნებები, ვინც ყრილობას მოახსენებს რესპუბლიკის დღევანდელ სასახელო საქმეებზე და მომავლის დიად გეგმებზე.

ლენინელთა დიად ყრილობას ხელდამშვენებული, სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე გამარჯვებული ხვდება საბჭოთა საქართველო, რომელიც ზეიმობს იმ ღირსსახსოვარი თარიღის 55-ე წლისთავს, როცა ჩვენშიც შემოანათა დიდი ოქტომბრის მზემ და სათავე დაუდო ახალ ერას რესპუბლიკის ცხოვრებაში.

მილიონობით ადამიანები იმედის, რწმენის თვალით შესცქერიან მოსკოვს, კრემლს, სადაც დღეს მუშაობას იწყებს ჩვენი დიდი პარტიული ფორუმი, რომელიც დასახავს კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის ძალევანოსილი წინსვლის ნათელ, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

მხურვალე სალამი სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს!

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყოველწლიური დღესასწაულის „საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღის“ დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს დღესასწაული „საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღე“.

„საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღე“ აღინიშნოს ყოველწლიურად ივლისის პირველ კვირადღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 23 თებერვალი.

საყრილობო ნოგათეგი

შეენთვის, ჩემო დედასამშობლო!

□ **თბილისი.** პირნათლად გაანაღდეს საყრილობოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება თბილისელმა მეტრომშენებლებმა. თბილგირაბმშენის სამმართველოს კოლექტივმა 23 თებერვალს შეასრულა იანვარ-თებერვლის გეგმა — 2.680 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. დაწინაურდნენ № 5, № 9 და № 13 საგვირაბო რაზმების, № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივები.

გვირაბმშენებლებმა გადაწყვიტეს თვის ბოლომდე დავალების ვადამეტებით 250 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულონ.

□ **რუსთავი.** მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ეგებება კომუნისტთა ფორუმს სკკპ XXV ყრილობის დელეგატის ო. ლომძის მეფოლადეთა ბრიგადა. ბრიგადის თავკაცი ამჟამად მოსკოვშია, ბრიგადის წევრები კი განაგრძობენ დამკვრელურ ვახტს.

გამოშვებულია 200 ტონა ზეგეგმითი ფოლადი! — ასეთია მეფოლადეთა ბრიგადის საყრილობო ნობათი.

□ **ბათუმი.** 270 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა ყრილობის გახსნის წინა დღისათვის საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა, რითაც გადაჭარბებით შესრულდა ორი თვის გეგმა და საყრილობოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. მომმარებელს გაეგზავნა 600 ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

□ **ჭიათურა.** ქალაქის მრეწველობამ შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ორი თვის დავალება და გაანადა სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულება. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 700 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზებული — 610 ათასი მანეთისა. ჭიათურის მშრომელებმა ამ დიდი გამარჯვების შესახებ პატაკი გაუგზავნეს სკკპ XXV ყრილობას.

□ **ზესტაფონი.** გუშინ ორი თვის დავალების შესრულება უპატაკეს სამშობლოს შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის მშრომელებმა. სკკპ ყრილობის გახსნის წინა დღეებში გამოშვებულია 760 ათასი მანეთის პროდუქცია. ახალი ნაკისრი ვალდებულება თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს.

საბჭოთა საქართველოს დღესასწაული

ქართველი ხალხი ზეიმობს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 55 წლისთავს. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი დაემთხვა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების ისტორიულ მოვლენას — სკკპ XXV ყრილობას. რესპუბლიკის მშრომელები თავიანთ ყრილობას შეხვდნენ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებული ახალი წარმატებებით. დღეს საბჭოთა საქართველო დიდად განვითარებული ინდუსტრიისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკაა.

საბჭოთა საქართველოს 55 წლისთავს მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხვეიმო სხდომა ქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც 23 თებერვალს გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. აქ მოვიდნენ პარტიის ვეტერანები, სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმის ფონზე მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები შ. დ. კაკნაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სტრაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ო. ე. ჩერქეზია, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების მოწინავეები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. ტრიგვაევმ.

ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ფოტოსურათი.

მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 55-ე წლისთავის შესახებ გაუკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ. მან ილაპარაკა ქართველი ხალხის მიერ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლილ დიდ და სახელოვან გზაზე, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებზე სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების გეგმებზე, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახა.

სახელოვანი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია, თქვა მომხსენებელმა, ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა გადაწყვიტონ დიდებული ამოცანები, რომლებსაც დასახავს შრომელიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა, პირნათლად შეასრულებენ მეათე ხუთწლედის დავალებებს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი დიადი საშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

საზეიმო სხდომა დახურულად გამოცხადდა. კვლავ გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

* * *

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საინფორმი).

22 23 თებერვალი

გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე

PRAVDA

24 თებერვალი ისტორიული დღეა — მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში დღეს მუშაობას შეუდგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა.

გაზეთის კვირისა და ორშაბათის ნომრები სწორედ ამ დღის მოახლოების სულისკვეთებით არის გამსჭვალული. „პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას რომ ვეგებებით, — ნათქვამია 22 თებერვლის მეთაურ წერილში — თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ეუფლება განსაკუთრებული მღელვარებაც, საზეიმო განწყობილებაც, პატრიოტული გრძნობებიც. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, მეგობრული მრავალეროვნული საბჭოთა ოჯახის ყველა ხალხი XXV პარტიულ ყრილობას ხვდებიან მჭიდროდ შეკავშირებულნი მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო“.

„ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“, — ასეა დახასიათებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა XXV ყრილობის წინ. ამ კრებულის გამოსვლის გამო გაზეთი აქვეყნებს სარედაქციო წერილს — „მებრძოლთა და მშენებელთა ავანგარდი“.

როგორც კვირის, ისე ორშაბათის ნომრების თითო გვერდი დათმობილი აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვას საერთო ანშლაგით „მეათე ხუთწლედის ზღუდეები“, ხოლო მეოთხე და მეხუთე გვერდებზე მკითხველი კვლავ გაეცნობა უხვად წარმოდგენილ საერთაშორისო ინფორმაციას.

სალამი სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს! — ამ გულთბილი მიმართვის სიტყვებით მიიღო მკითხველმა გუშინდელი ნომერი. ხალხისა და პარტიის მონოლითურ ერთიანობას ეძღვნება გაზეთის მეთაური წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მძლავრად, მბკიცედ სცემს ამ დღეებში სამშობლოს შრომითი მაჯა, ქვეყანა წინასაყრილობო ვახტზე დგას. მთელი ჩვენი ხალხი მხურვალედ უსურვებს მშობლიური პარტიის XXV ყრილობას დიდ წარმატებებს, ლენინურად დარაზმულ და საქმიან, ლენინურად ერთსულოვან და ნაყოფიერ მუშაობას“.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი შეუნელებელი ყურადღებით გაადევნებენ თვალყურს სკკპ XXV ყრილობის მუშაობას. კავშირგაბმულობის რა საშუალებებს ჩაეკენებინ ამ მსოფლიო-ისტორიული მოვლენის სამსახურში? კორესპონდენტის ამ კითხვას უპასუხებს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. გლინკა.

როგორც „პრავდა“ იუწყება, ქალაქ რუსთავში უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს ხაორტული კლუბი „ფოლადი“. აქ სხვადასხვა სექციაში ჩაბმულია მეტალურგიული ქარხნის ბევრი მუშა, მათ შორის ნახავთ სპორტის ოსტატებს, თანრიგოსნებს, აქვე დაბეჭდილია ა. ხემელიაკის ფოტო, სადაც გამოსახულია არიან კლუბ „ფოლადის“ ვეტერანი ფეხბურთელები ფ ვ რ თ ნ ი ს დროს.

წინ, წინ, სამშობლო მხარეს!

მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

საყრილობოდ — საბჭოთა საქართველო

პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჩვენთვის, საბჭოთა საქართველოს მშრომელებისათვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 55-ე წლისთავი პარტიის XXV ყრილობას ემთხვევა. ყრილობას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა ხალხისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის. ეს ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის დიდებულ წარმატებებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტისა და ძლიერების განმტკიცებაში. სკკპ XXV ყრილობა შეაჯამებს მეცხრე ხუთწლედის შედეგებს და დასახავს მეათე ხოთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მიჯნებს.

როგორ ხედავდა საბჭოთა საქართველო მშობლიური პარტიის XXV ყრილობას?

საბჭოთა საქართველო დღეს დიდად განვითარებული ინდუსტრიისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკაა. ყოველწლიურად იზრდება მისი ეკონომიური პოტენციალი. მისი წვლილი საბჭოთა ხალხის სიღლეურ საგანძურში. რესპუბლიკა ხალხთა მეგობრობის კლასიკურ მაგალითად გადაიქცა. მარტო მის დედაქალაქში ერთიან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ 100-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება საქართველოს სსრ აყვავებისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მისი დაახლოების წყაროა.

გიგანტალი ხუთწლედის შედეგების დასასრულისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმზე თქვა:

„ჩვენ კარგი ნაბიჯი გადადგეთ წინ. თუ მხედველობაში მიგიღებთ საზოგადოებრივი წარმოების ამოსავალი ბაზის, მეცხრე ხუთწლედი საუკეთესო ხუთწლედია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩვენი საშობლო კიდევ უფრო მდიდარი, კიდევ უფრო ძლიერი გახდა. საბჭოთა ადამიანები უკეთ ცხოვრობენ. ეს კი პარტიის საქმიანობის უმაღლესი შეფასებაა“.

ჩვენი საშობლოს ყველა მშრომელთან ერთად საქართველმა ხალხა ოცისეული წვლილი შეიტანა ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, ჩვენმა ხალხმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ღირსეულად წარმოგვიჩინეს ლენინური პარტიის XXV ყრილობის წინაშე.

საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყველა რგოლისა და დარგისათვის მეცხრე ხუთწლედი მუშაობის ძირეული გარდატეხისა და გარდაქმნის ხუთწლედი იყო. საქმით გამოვლინდა, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების შედეგები, დადგენილებისა, რომელიც თქვიურად მარტო თბილისის კომიტეტს კი არ შეეხებოდა, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკასაც.

იმ დიდი მუშაობის შედეგები, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს ამ დადგენილების მიღების შემდეგ, დეტალურად იყო გაშუქებული და განსაჯული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, ხოლო თბილისში გაწეული მუშაობის შედეგები — საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში 36-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე.

ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ეკონომიკოსმა მიზანსწრაფული, პრინციპული ბრძოლა გააჩაღეს პარტიულ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენისათვის, რესპუბლიკის მთელი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. უნდა დადგეს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, რომელიც გასული ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში.

განვლილ ხუთწლედს ახასიათებს წარმოების ტემპის მნიშვნელოვანი ზრდა, განსხვავების შემცირება რესპუბლიკურ და საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს შორის, მთელი ხახალხი მეურნეობის განვითარების თვისებრივი ფაქტორების გაუმჯობესება, რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი დიდი მხარდაჭერის, სსრ კავშირის ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის დახმარებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეძლეს დიდი სიძნელეების დაძლევა. მიღწეული შედეგები თავისთავად მეტყველებს: **მეცხრე ხუთწლედის გეგმა ძირითადი ეკონომიური და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით და დიდი გადაჭარბებით შესრულდა.**

ჩვენ გამაჯობთ, რომ მარტო გასულ ხუთწლედში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაახლოებით ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეძლეს დიდი სიძნელეების დაძლევა. მიღწეული შედეგები თავისთავად მეტყველებს: **მეცხრე ხუთწლედის გეგმა ძირითადი ეკონომიური და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით და დიდი გადაჭარბებით შესრულდა.**

ჩვენ გამაჯობთ, რომ მარტო გასულ ხუთწლედში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ.

ასეთი ჯილდოები და სამახსოვრო ნიშანი „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“ მიენიჭა და ამასთან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დიპლომი შეტანილი საქართველოს შვიდი საწარმო და დაწესებულება, ოთხ კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში უმაღლესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის, 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭათ ქალაქ ქუთაისის, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონს, ბაშის, გურკანის, მახარაძის რაიონებს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიენიჭა ამიერკავკასიის რკინიგზას, რესპუბლიკის ექვს საწარმოსა და დაწესებულებას, რვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელოვანმა მშრომელებმა. აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა 1975 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით, აგრეთვე ლენინგორის რაიონს მიენიჭათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები.

ახალი ხუთწლედის გეგმები ჩვენგან კიდევ უფრო დაძაბულ და თავდადებულ შრომას მოითხოვს. მათი წარმატებით შესრულების საწინდარი იქნება სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. სანამუშო წესრიგი უნდა დავამყაროთ ჩვენი ეკონომიკის ყველა რგოლში, მკვეთრად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საყაჯრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გავაძლიეროთ ბრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, განუხრელად სრულყოთ სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მუშაობა, გავაძლიეროთ თვითეული პარტიული, საბჭოთა მუშაკის, თვითეული კომუნისტისა და უპარტიოს პასუხისმგებლობა დასახულებულ მოვალეობის შესრულებისათვის.

ყოველი პატიოსანი მშრომელი კანონიერ უმაღლოფილებას გამოთქვამს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო, რომელიც ჯერ კიდევ გვაქვს რესპუბლიკის მოსახლეობის საყაჯრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. საბანაო მშენებლობასა და ზოგიერთ სხვა დარგში.

ადამიანს, რომელიც ცუდად აშენებს საცხოვრებელ სახლებს, უშვებს უხარისხო საქონელს, აცხობს უგარგის პურს, უხეშად ექცევა მომხმარებელს, მოუბრკალებელად ეკიდება მთხოვნელს, არ ესმის ან არ სურს გაგების, რომ ყოველივე ეს მოსახლეობის სამართლიანი საყვედურების მიზეზი ხდება, მოსახლეობისა, რომლის კეთილსა და მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება. თვითეული კომუნისტის, საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა ყოველნაირად დაუშაროს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ღონისძიებებს, რომელიც მტკიცე ბრძოლა გამოუცხადა ჩვენს საზოგადოებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების მკონდეთ, იყოს შეურიგებელი ჩვენს მუშაობაში, ჩვენს ცხოვრებაში ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი, შექმნას ისეთი ვითარება, რომ მუქთახორებს, ხულიგნებს, წამგლეჯებს, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების დამტაცებლებს არ შეეძლოთ თავისუფლად და დაუსჯელად ცხოვრება. თავიანთი ბინძური საქმე. ანტიასოციალური მოვლენების წინააღმდეგ სიმტკიცე საზოგადოებრიობის დარაზმვა თვითეული პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაკომპლექტებას პარტიის საქმის, კომუნისტური მშენებლობის საქმის ერთგული ადამიანებით, ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მეცნიერული პრინციპების საფუძველზე შერჩეული კადრებით. მართალია ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა, ჩვენთან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებები კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში.

კადრების შერჩევისათვის, განაწილებისა და აღზრდისათვის პარტიის დიდი ზრუნვა განსაკუთრებით არის ხაზგასმული სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში.

ახალ, მეათე ხუთწლედში დიდი, საპატიო და პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს ითვალისწინებს პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი. ამ ამოცანათა გადაწყვეტა დიდ და დაძაბულ შრომას მოითხოვს, რომელშიც პარტიული და სამეურნეო ორგანოების გარდა დიდი როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა დეპუტატების იდგილობრივმა საბჭოებმა.

უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიამ და მთავრობამ ბევრი ღონისძიება განახორციელეს საბჭოების როლის ამაღლებისათვის. მიღებულია კანონი დეპუტატთა სტატუსის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა საბჭოთა ორგანოების მუშაკები არ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, მთლიანად არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს; ხშირად დეპუტატები, მუდმივი კომისიები საკმარის აქტივობას არ იჩენენ, აღმასკომები სუსტად უწევენ კონტროლს მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საქვეუწყებო ორგანიზაციებს, ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი, ხოლო ზოგიერთი მუშაკს ჯერ კიდევ არ დაუძლევია თავის საქმიანობაში ბიუროკრატიზმი. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ადგილობრივი საბჭოები რაც შეიძლება სრულად იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს, ახალი მოთხოვნების სულისკვეთებით გარდაქმნან მუშაობა.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივ საბჭოებს — და ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა — იმისათვის, რომ განახორციელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ დეპუტატები, აქტივი, ახალგაზრდობა, მუდმივი კომისიები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. ეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის დიდებული პროგრამაა. მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს.

საქართველოს მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გეგონმიკისა და კულტურის ყველა სფეროში მოპოვებული ახალი წარმატებებით შეხვდნენ. მათ უკვე ჩაუყარეს საძირკველი მეათე ხუთწლედის დიდი გეგმების წარმატებული რეალიზაციის საქმეს.

ეჭვი არ არის, რომ ახლა, როცა საბჭოთა საქართველო თავის 55-ე წლისთავს აღნიშნავს, მისი სახელოვანი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით გადაწყვიტონ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დიდი ამოცანები, პირნათლად შეასრულებენ მეათე ხუთწლედის დავალებებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი დიადი საშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში, კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებულ განხორციელებაში.

ᲛᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის № 3 საამწყობო საამქრო დიდი შრომითი წარმატებებით ხვდება სკკპ XXV ყრილობას.

აქ ყველა კომუნისტმა მუშამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გეგმა. რაციონალიზატორებმა დაზოგეს 40.000 მანეთი.

ამწყობ ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი, ლენინის ორდენოსანი ი. ბუხრიკიძე ხელმძღვანელობს, პირნათლად შეასრულა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება და გეგმის გადამეტებით 3 საექსპორტო ჩარხი ააწყო.

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — № 3 საამქროს მოწინავე მუშები, კომუნისტები, რომლებმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის გეგმა (მარცხნიდან): ი. ადუაშვილი, ე. უჯურგუნაშვილი, ხ. ჩოჩია, ვ. ძაგოევა, ი. ბუხრიკიძე, შ. ხოხიაშვილი და შ. მანჩხაშვილი; მარჯვნივ — ელვა გაზეთი ეძღვნება ი. ბუხრიკიძის ბრიგადის წარმატებას, ქვემოთ — კომუნისტი რაციონალიზატორები კ. ბეროზაშვილი, კ. წვერავა და შ. ხოსელია.

ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝᲒᲝ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲛᲝᲑᲚᲝᲕ!

□ **ᲜᲣᲒᲔᲨᲘᲠᲘ.** იანვარსა და თებერვლის 23 დღეში თბილოვანი კაშხალის ტანში ჩასხმულია 30 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და შესრულებულია საყრილობოდ ნაკისრი ვალდებულება — ენგურჰესელმა მშენებლებმა ამ გამარჯვებით აღნიშნეს სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილი ვახტი. საყრილობო ფიფქი კაშხალის ტანი ყოველდღიურად მიიღებს 900 კუბურ მეტრ ბეტონს. ეს მაჩვენებელი სარეკორდოა.

□ **პარტიის** ყვარლის რაიკომმა და რაიხალბჭოს აღმასკომმა რედაქციას აცნობეს: საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 23 მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივმა პარტიის XXV ყრილობის გახსნის დღისათვის წესრულა 480 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ნაცვლად ორი თვის გეგმით გათვალისწინებული 394 ათასი მანეთისა.

მშენებლების პირობა იყო სრილობის ვახსნის დღისათვის დაემთავრებინათ ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში ვაზის ნერგის გამოსაყვანი სათბურის მშენებლობა, რაც მეოთხე კვარტალისათვის იყო ნავარაუდევი. ეს ვალდებულება 23 თებერვლისათვის გაანაღდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეურნეობის მშრომელები ვადაზე თითქმის ერთი წლით ადრე 5 მილიონ ცალ ვაზის ნერგს გამოიყვანენ და ზვრებს შეემატება 600 ჰექტარი ახალშენი ვენახი.

□ **სკკპ** XXV ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა თბილისის რძის კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე — 20 თებერვლისათვის შეასრულა ორი თვის დავალება. რეალიზაციის მოცულობის გეგმა გადაშეტებულია 200 ათასი მანეთით, მთლიანი რძის პროდუქციის გამოშვებისა კი 650 ტონით, ხოლო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დავალება — 3 პროცენტით. ეს რედაქციას აცნობეს კომბინატის გენერალურმა დირექტორმა **მ. ალექსიძემ,** პარტკომგანიხაცის მდივანმა **დ. ვალაძემ.**

□ **კოდის** მეურნეობის ფაბრიკის კოლექტივი დგას სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. შრომის დევიზით „ორი თვის გეგმა პარტიის ყრილობის გახსნის დღისათვის“ მოპყავ გარკვეული წარმატებები. იანვარ-თებერვლის გეგმით გათვალისწინებული 3.300 ცენტნერი ფრინველის ხორცის ნაცვლად ეაწარმოეთ და სახელმწიფოს ჩაბარებულ 3.600 ცენტნერი, რაც, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 950 ცენტნერით მეტია.

ფაბრიკის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს წლიური გეგმა და ვალდებულება გაანაღდოს 20 დეკემბრისათვის.

კოლექტივის წარმატების შესახებ რედაქციას აცნობეს თეთრი წყაროს რაიონის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა **ტ. ხუციშვილმა** და პარტბიუროს მდივანმა **თ. გიორგაძემ.**

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ

ბრძენო სარდალო, მშობლიურო ჩვენო პარტიავ,
შენ მზის კვაცხლბლეკზე აღამაღლე თვითონ სიმართლე,
ჩვენ მაგ სიმართლით ვძლიეთ ყველა ომის ქარტალს
და ხალხთა გულში სიყვარული დავამბინადრეთ.

შენი სიწმინდე, ხისპეტაკე გულს მაბატია,
შენი ბილეთით გადავლახე ომში ოდერი,
შენს უერთგულეს სიყვარულში წლები გადიან
და შენზე საოქმელ ყველაზე დიდ ლექსს ველოდები.

მშობელს გეძახი და შენს პოეტს ნუმც მეპატიჟს,
ხულის ცახცახით თუ ვერ გითხრა ტრფიალი შვილის,
შენი რიგითი გვარდიელის სინდისს პარტიულს
არა, არასდროს დასცემია მცირედი ჩრდილიც.

იქნებ დღეს მაინც გამილიმოს ბედმა და გითხრა
ბელადო, შენი შესაფერი სიტყვა მგზნაური,
უპირველესად შენ მოგიძღვნი გულხა და სიტყვას,
შენი ყრილობის ტრიბუნასთან ფიქრით მოსული.

მე ვხედავ როგორ გადაუურეს დარბაზს ლენინი
და ცენტრალური კომიტეტი — მესაპე დიდი,
ხალბოთა ხალხის სიდიადის წარმომჩენელი
მომავლისაკენ უტყუარი კომპასით მიდის.

მიდის, მიგვიძღვის, გვიახლოვებს ყოველდღე ნეტარ
დღეებს, დანთებულთ კომუნიზმის თაღმაღალ კართან;
მიგვიძღვის, მივდევთ, დიდ მომავალს თვალნათლივ ვხედავთ,
ვით ქვეყნის ცაზე დარხეული დროშების კალთას.

ყრილობის მაღალ ტრიბუნასთან პარტია ჩვენი
დგას და მსოფლიოს ესმის მისი სიტყვა მაღალი,
ეს იმას ნიშნავს, — იწერება უკვდავი ხელით
დიადი ქვეყნის ისტორიის თავი ახალი.

უქმით სავსეა ყრილობათა სასახლე ვრცელი,
გულებში რწმენის ჩაუმქრალი ნინათლე ჰკვავის,
ეს იმას ნიშნავს — იფურცლება უკვდავი ხელით
დიადი ხალხის ისტორიის ახალი თავი.

ამ დარბაზში ფეთქს ისტორიის ძლიერი პულსი,
კრემლისკენ არის მიპყრობილი პლანეტის თვალი,
რა მძლავრი შუქი დანთებულა სამშობლოს გულში
დღევანდელ დღის და უფრო დიდი ლამაზი ხვალის.

შენ ხარ სათავე ამ შუქისა, ხალხის ხარდალი,
გულით ნათელი, სიტყვით მტკიცე, ხელმით მართალი.
კვლავ გაგვიძღი, შენთან ერთად ვართ და ვიქნებით
საქმენით ჩვენით, გულით ჩვენით, ჩვენი ფიქრებით.

შენით ვმაღლდებით, შენით ვმძლავრობთ, შენით ვიზრდებით!
შენ გაგიმარჯოს, გაუმარჯოს შენს დიდ ყრილობას,
ხალხის გმირობას, წინსვლის ჩვენის უნაბარობას,
დიდო პარტიავ კომუნისტების!

თეიმურაზ ᲯᲐᲜᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ

ᲐᲮᲚᲐ, სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღეს, მაზარაძელი კომუნისტები ჩვენ თავს ვეკითხებით: რით მოვედით ამ დიდ პარტიულ ფორუმზე?

მშობლიური პარტიის ყრილობისადმი საუკეთესოდ შეხვედრა სწორად სოციალისტური ვალდებულების წარმატებით შესრულება იყო და ჩვენც თავდადებით ვშრომობდით საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამრეწველო საწარმოებში. შედეგებიც შეიძლება ითქვას, საყოველობოა. სამშობლოს ვადამდე ვუპატაკეთ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება. ამის საილუსტრაციოდ კი რამდენიმე ციფრის მოყვანაც კმარა.

განსაკუთრებით სასახელოდ იშრომეს ჩვენმა მეჩიაეებმა. მათ ხუთწლედით დასახული 212.950 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 259.919 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო მეციტრუსეებმა — 48.000-მდე ტონა ციტრუსი — 33.000 ტონის ნაცვლად!

გეგმა-ვალდებულების შესრულება სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგშიც საკმაოდ სოლიდური ციფრებით გამოიხატა. გადაჭარბებით იქნა განაღდებული ხილის, ყურძნის, სიმინდის, სოიის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებები.

ქების ღირსნი არიან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებიც. მათი ენთუზიაზმი რიდი ჩამორჩებოდა სოფლის მშრომელთა თავდადებას — გასულ ხუთწლედში 456 მილიონამდე მანეთის სამრეწველო პროდუქცია აწარმოეს, რაც 20 მილიონით მეტია ნავარაუდევზე. წარმატებით შესრულდა აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის გეგმა.

და მიიხე ჩვენთვის განსაკუთრებით გასული სამეურნეო წელი იყო ნაყოფიერი. შარშან გეგმის გადამეტებით მიეყიდა სახელმწიფოს 21 მილიონ მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო რესპუბლიკის ვალდებულების — 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში, მაზარაძელთა წვლილი თითქმის 10 მილიონამდე მანეთით გამოიხატა. სწორედ ამ შედეგების მიხედვით რაიონი გამარჯვებული გამოვიდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავ მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით აღინიშნა ნატანებისა და შრომის კოლმეურნეობების, ნარუჯის ჩაის საბჭოთა და მახარაძის სატეო მეურნეობების მშრომელთა თავდადებული საქმიანობა.

რა თქმა უნდა, ეს წარმატებები თავისით არ მოსულა. პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებით შესძლეს მშრომელთა მობილიზება დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, მათ მოაკარ საზრუნავად გაიხადეს ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობა. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა კომუნისტთა ავანგარდული როლი, თვითეული მშრომელის პასუხისმგებლობა.

ახლა რაიონის მშრომელთა კოლექტივებში, პარტიულ ორგანიზაციებში, თვითეული ადამიანის საქმიანობაში იგრძნობა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის სულისკვეთება, მისი საქმიანი ტონი, მოვლენებისადმი კრიტიკული და თვითკრიტიკული მიდგომა, ადგილებზე ეცნობიან ყრილობის მასალებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებზეც მშრომელებს უშუალოდ ესაუბრებიან ყრილობის დელეგატები, იხილავენ სკკპ XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს, აყენებენ საყურადღებო წინადადებებს.

და აი, ამ მუშაობის დროს დიდი ბევრი ახალი პატრიოტული თაოსნობა და ინიციატივა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატებისა—მეჩიაეები ლ. ჩაგელიშვილი, ნ. აგაფონოვა, მექანიზატორი ბ. ვასაძე, მეციტრუსე ჯ. ლაღიძე, მესიმინდე შ. ცერცვაძე გამოვიდნენ ინიციატივით — „ხუთწლედის პირადი გეგმა — ოთხ წელიწადში.

დიდი ამოცანებია დასახული რაიონის მშრომელთა წინაშე ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის ხუთწლედში, წლეულს მეჩიაეებმა უნდა მოკრიფონ 53.100 ტონა ჩაის ფოთოლი, 9.480 ტონა ციტრუსი, აწარმოონ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ნაკლები საზრუნავი არც სარეწველო საწარმოებს აქვთ. მათ უნდა გამოუშვან 112 მილიონამდე მანეთის და რეალიზაცია უყონ 108 მილიონამდე მანეთის პროდუქციას. ეს დამაბული, მაგრამ რეალური გეგმაა.

ამ წერილში, რომელიც საზეიმო განწყობილებით დაიწერა, მხოლოდ წარმატებებზე ვილაპარაკეთ მაგრამ ეს იმას რიდი ნიშნავს თითქოს არა გვაქვს პრობლემები და გადაუჭრელი საკითხები.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, რომ: „ზოგიერთ წარმატებაზე რომ ვლაპარაკობთ, ამავე დროს ხაზს ვუსვამთ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში განვლილი ხუთწლედის მანძილზე დაძლეულია მხოლოდ ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა — ეს არის და ეს. რაც შეეხება საქმის საერთო მდგომარეობას, იგი ვერც ახლაა სახარბიელო...“

ეს შეფასება სავსებით ეხება ჩვენს რაიონსაც ჩვენს მუშაობასაც.

ე. მალაზონია,
საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

თუ ციფრებს მივმართავთ...



მეტალურგთა ფიქრები

მეათე ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ახალ პატრიოტულ თაოსნობას ჩაეყარა საფუძველი. ცნობილმა მეფოლადემ ო. ლომიძემ, რომელიც სკკპ XXV ყრილობის დელეგატია, მოწოდებით მიმართა ქარხნის ყველა მუშას სკკპ XXV ყრილობამდე დარჩენილი ექვსი დეკადა გამოგვეცხადებინა შრომის დიდი ნაყოფიერებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრად გა

სიტყვა—ყრილობის დელეგატებს

ლირსეული წვლილი

ლაბა დღე, როცა ჩვენი ქვეყნის ყველაზე უმაღლესი ტრიბუნიდან შეფასდება ხალხის მიერ გაწეული ხუთწლიანი შრომა-გმირის შედეგები, როცა ყველა მოძმე რესპუბლიკა და კერძოდ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უპატაკებენ სამშობლოს, თუ როგორი იყო გზა ამ ყრილობამდე, რა სიძნელეები, დაბრკოლებები შეგვხვდა და ბოლომდე დაძლიეთ ისინი თუ არა, როგორ გვეხატება ჩვენი მომავალი და რას ველით ხვალინდელი დღისგან.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გულხელდაკრეფილნი ესხედვართ და არხეინად ველით ოცნებების ახდომას.

ჩვენი მომავალი, ჩვენი ხვალინდელი დღე ჩვენივე ხელთ არის და როგორ გავითვლებთ ახ დავიღაღებთ, ჩვენსავე შრომაზე, მუყაითობაზე, ალღოზე, ცხოვრების ცოდნაზეა დამოკიდებული.

სულ ახლახან დამთავრდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობა, სადაც პრინციპული, ბოლშევიკური სატაბარი გაიმართა ამაზე, თუ რა გვიშლის ხელს წინსვლაში და როგორია მომავლის პერსპექტივები, რა დასამალავია, განვლილი ხუთწლედი ჩვენი ხალხისათვის მრავლისმთქმელი, თუ გნებავთ, საკმაო წინააღმდეგობებითაც სავსე აღმოჩნდა. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, უნდა ვაღიაროთ, რომ უსანთლო უნდა ყოს ცაცი, თუ ვერ დაინახავს ძვრებს, სიახლეებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეკონომიკასა და სახალხო მეურნეობაში მოხდა.

სულ უფრო და უფრო ნაკლებად ისმის სკეპტიკოსთა საყვედურები, უფრო მკაფიოდ ჩანს ის სასიკეთო შედეგები, რომლებიც ყველა ჩვენგანის ცხოვრებას ეხება და კიდევ უფრო დიდი რწმენით, მომავლის იმედით გვავსებს.

ჩვენი დღეები, უახლოესი მომავალი ჩვენ, ქართველ მწერლებს, გვავალებს შეექმნათ მუშათა კლასს, გლეხობისა და ინტელიგენციის გმირული შრომის ამსახველი მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებები. პირადად მე უკვე ერთხელ თქმულს გავიმეორებ: თუ მომავალი ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია, ყველა ჩვენგანის საქმიანობაში ურთულესი ხანა დამდგარა და მწამს, რომ ქართველი მწერლობა არის და იქნება თავის ხალხთან, თავის შრომელიურ პარტიასთან ერთად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის შესახებ ერდრად მომძე ხალხებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკაც გულდაგულ ემზადებოდა. ეს იგრძნობოდა ყველგან და ყველაფერში, რადგან ჩვენს ხალხს უცილობლად სწამს, რომ პატიოსანი შრომით, თავდადებით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, პირადი მაგალითით ყველაზე დიდ საქმეს გააკეთებს, ყველაზე საპატიოს, მამულიშვილურს — სამშობლოს კეთილდღეობის დიდებული შენობის დასამშენებლად თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს.

ნ. დუმბაძე,

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ორი ხუთწლედის დავალება!

ეიძრით მოსკოვში ვიყავი საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ, რომელზეც ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმის დელეგატად ამირჩიეს. და აი უკვე მოსკოვში ვარ. პირველად ჩემს სიცოცხლეში ადგილს დავიკავებ კრემლის ყრილობათა სასახლეში, რათა უშუალო მონაწილეობა მივიღო მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობის მუშაობაში.

უაღრესად დიდი პატივი მხვდა წილად მე, რიგითს მაღაროელს და ამას, უწინარეს ყოვლისა, იმდენად ჩემი შრომის აღიარებად არ ვთვლი, რამდენადაც ჩვენი მაღაროს და მთლიანად ჭიათურის სამთამადნო კომბინატის კოლექტივის, შავი ქალაქის მშრომელთა წვლილის დიდ შეფასებად.

გასულ წელს 6 ოქტომბერს დიდი ზეიმი გვქონდა ჭიათურაში. ამ დღეს ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა ქვეყანას უპატაკეს ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ითხუთლემა მაღაროელებმა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს 53 ათასი ტონა მარგანეცის კონცენტრატი. ახლა საწარმოში არცერთი ჩამორჩენილი უბანი და ცვლა არა გვყავს. პარტიული კომიტეტი და საუბნო პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო აძლიერებენ კოლექტივს, ზრდიან ადამიანებს შეგნებული დისციპლინის, დიდი პასუხისმგებლობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, გვერდით მომუშავე ამხანაგებისადმი მხარდაჭერის სულისკვეთებით. ამიტომ არის, რომ კოლექტივის ყოველი წევრი საერთო წარმატებას თავის წარმატებად თვლის, ხოლო თვითეულის ჩამორჩენა საგანგაშოდ მიაჩნია.

პირადად ჩემთვის, როგორც კომუნისტისა და კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელისათვის, დაუვიწყარი იქნება შარშანდელი ოქტომბრის დღესწაულის წინადღე, როცა 22 ტონის ნაცვლად 50 ტონა მარგანეცი გამოვიღე. **ამით მეცხრე ხუთწლედში შევასრულე ორი ხუთწლედის დავალება.** უფრო მეტიც — გადავლახე მეათე ხუთწლედის მიზნა — 14.520 ტონის ნაცვლად სამშობლოს 29.075 ტონა „შავი ოქრო“ მივეცი. შრომა დამიფასდა. ჩემი და ჩემი მეგობრების სახელები გულთბილად მოიხსენიეს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის ბრძანებით ჯილდოდ გადმომეცა მსუბუქი ავტომანქანა „ეიგული“.

სიძნელეები, შეფერხებები ჩვენს საწარმოსაც აქვს. ჯერჯერობით ჩვენს რიგებშიც არიან ილი ცხოვრებისა და ბახუსის მოყვარული, გამცდენი და პროფესიას სუსტად დაუფლებული მუშები. ჩემს დამხმარე გ. ნოზაძეს ხშირად აკრიტიკებდნენ. როცა კი სვამდა სამუშაოს აცდენდა. მის შესახებ პროფკავშირულმა კრებამაც იმსჯელა. გადაწყვიტეს სამუშაოდ ჩვენს ბრიგადაში გადმომეყვანა. სასიხარულოა, რომ ახლა იგი საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო, მოწინავე სამთოელია.

ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო მძლავრი და ლამაზი გახდება ქართული მარგანეცის ქალაქი. მწყობრში ჩადგება ახალი სამთო უბნები და კარიერები, განხორციელდება ტექნიკური სიახლეები მაღნის მოპოვებასა და გამდიდრების ტექნოლოგიაში. განსაკუთრებით სასიამოვნოა ახალი ითხვისის მაღაროში გათვალისწინებული წმენდითი კომპლექსის დანერგვა, რითაც თითქმის 400 ათასი ტონით გაიზრდება მარგანეცის გამოღება.

ბ. ბაძრაძე,

ჭიათურის სამთომადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

რეკორდი —ნორმად!

ჩვენი შრომიწ დიდ შეფასებას, უწინარეს ყოვლისა, ვუმადლი მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას.

როცა ამხანაგები მეკითხებიან, როგორ მივაღწიე წარმატებებს, რით ვხვდები სკკპ XXV ყრილობას, რომლის დელეგატიც ვარ, შეიძლება ითქვას: მე ამ წარმატებებს **შრომით** და **მხოლოდ შრომით** მივაღწიე.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, ჯერ კიდევ 1974 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

მეურნეობაში ჩაის პლანტაციების მექანიზებული დამუშავება და ფოთლის კრეფა ფართოდ დანერგა. 1973 წელს სულ მოიკრიფა 3.710 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 3.320 ტონისა, 1974 წელს კი 4.606 ტონა ნაცვლად 3.570 ტონისა. აქ თავი იჩინა მექანიზაციის ძალამ. ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფილია 2.709 ტონა „მწვანე ოქრო“, ანუ მთლიანად მოკრეფილი ნედლეულის ნახევარზე მეტი. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შესრულა.

ამ საერთო სასიხარულო საქმეში ჩემი წვლილიც არის. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მანქანით მოკრეფილი მაქვს 388 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. **ჩემი პირადი ხუთწლიანი დავალება სამ წელიწადში შევასრულე და ხუთწლედის მანძილზე გეგმის გადამეტებით სამშობლომ მიიღო 120 ტონა ჩაის ფოთოლი.**

მიყვარს ჩემი პროფესია. სწორედ ამან შემაძლებინა ის, რომ გამოვძებნე ჩაის შპალერების გასნების ოპტიმალური მეთოდი. ამან უზრუნველყო „ჩა-900“ მანქანის შეუფერხებელი მუშაობა. დავეუფლე მანქანის სიჩქარის რეგულირებას. ეს, განსაკუთრებით საჭიროა დუყების მასობრივი ვეგეტაციის დროს. ყველაფერმა ამან შესაძლებლობა მომცა განუწყვეტლივ გამდიდრებინა ჩაის ფოთლის მოსავლიანობა არა მარტო ცალკეულ ჰექტრებზე, არამედ მომავრებულ მთლიან ფართობზე.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სარეკორდო მოსავალი მივიღე. მთლიანი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე „ჩა-900“ მანქანით მოკრეფილ 9.462 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. **ჩემი ოცნება ყოველთვის ის იყო, რომ წინა წლის რეკორდი მომდევნო წელს ნორმად მექცია და ახლაც ასე ვფიქრობ.**

ვეცდები გასული წლის მიღწევა მეათე ხუთწლედის პირველ წელს ჩემი მუშაობის ნორმად ვაქციო.

ამ ნდობის პრაქტიკული საქმით ვუპასუხებ — **მეათე ხუთწლედის გეგმას ოთხ წელიწადში შევასრულებ.**

კ. ლაშხია,

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე მექანიზატორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჩვენი სიმდიდრე

ჩვენი სოფლის მშრომელთა სიმდიდრე, ზვრებია, შრომის სიხარული დაკორძილძირიანი ზვრებია, ის არის ჩვენი გაბზარებული, სიუხვის დაუშრეტელი წყარო. ყოველთვის იმის ცდაში ვარ, რომ ვაზს არ გაუჭირდეს და უხვი მოსავალი მოგვცეს. შარშან ვენახებში და მიწდვრად ძლიერმა სიცხემ მიწა რომ გამოაშრო და მისი სიცოცხლის გადარჩენის საკითხი დადგა, დიდმა და პატარამ ზვრებს მივაშურეთ, რომ გაჭირვებისაგან გვეხსნა ვაზი, ჩვენი მარჩენალი.

რით მივდივარ ყრილობაზე?

ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი. უპირველესად ყოველისა კი ისევ ჩვენს ზვრებზე უნდა ოოგახსენოთ. ჩვენმა კოლმეურნეობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაიმსახურა, ამისაფვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე 96,4 ცენტნერ ყურძენი მიიღო. ჩვენმა ბრიგადამ კი — 100 ცენტნერი. ეს შარშანდელ პირობებში არც თუ ისე ურიგოა. ჩვენ ეს გამარჯვება სკკპ XXV ყრილობას მივუძღვენთ.

როგორ მივაღწიეთ წარმატებას?

ზემოთაც აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ. წარმატება საგულდაგულო შრომითა და აგროწესებს ზუსტად დაცვით მოვიპოვეთ. ჩვენს ბრიგადაში სიმეჩხრე მინიმუმამდეა შემცირებული. კოლმეურნეობაში, მართალია, სიმეჩხრე 15 პროცენტს უდრის, მაგრამ არც ეს არის ცოტა. ამით თითქმის 23 ჰექტარი აკლია ჩვენს ზვრებს. წლეულს ამ ნაკლსაც გამოვასწორებთ.

რა სიახლე გვაქვს?

ადრე ვეხახებში სხვადასხვა დროს ვხნავდით და ვატარებდით კულტივაციას. ახლა კი ასე არ არის, კულტივაციასა და ვაზის წამლობას კომპლექსურად, ერთდროულად, ერთი აგრეგატით ვაწარმოებთ. ამით სამუშაოც იოლდება, დროშიც ვიგებთ და დანახარჯებიც სანახევროდ მცირდება.

ასეთია ჩვენი მაჩვენებლები. აი რით მივდივართ ყრილობაზე. ვფიქრობ, ეს ურიგო ნობათი არ არის, მაგრამ ამაზე ხომ ვერ შევჩერდებით! ახალ, მეათე ხუთწლედში უფრო უკეთესი მაჩვენებლებისათვის ვიბრძოლებთ.

მ. ღვედაშვილი,

სიღნაღის რაიონის ძველანაგის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მხატვრის ალბომიდან

ზ. ეიმო ქედლის კოლმეურნეობის წარმატებები კარგად არის ცნობილი არა მარტო წითელწყაროს რაიონში, არამედ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. აქაურმა მხვნელ-მთესველებმა ფართოდ დანერგეს მექანიზაცია, განახორციელეს აგროტექნიკური ღონისძიებათა მთელი კომპლექსი და მარცვლეულის უხვ მოსავალსაც იღებენ. კარგად არის განვითარებული მეცხოველეობა და მევენახეობაც. ამ ხოფლის თავკაცია ცნობილი სამეურნეო მუშაკი, კარგი ორგანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. კობაიძე. იგი, როგორც დელეგატი, მონაწილეობას იღებს სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში.

ხ ურ ა თ ზ ე: ბ. კობაიძე (ზემოთ).

მ ახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობა მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობაა. ყოველწლიურად აქ მოპოვებთ ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ასობით ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. კოლმეურნეობა ეკონომიურად ძლიერია და შრომის ანაზღაურებაც დადი. ეს შესაძლებელი გახდა კომუნისტური შრომისა და ცხოვრების მეობებთან. ამ კოლმეურნეობას ათეული წლების მანძილზე უნარიანად, ხაქმის ცოდნით ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი ბ. წითლიძე. იგი სკკპ XXV ყრილობის დელეგატია.

ხ ურ ა თ ზ ე: ბ. წითლიძე (ქვემოთ).



ირ. თოიძის ნახატი.

ტრიბუნა

ვუძღვნი სკკპ XXV ყრილობას

მზე ხხივმარადი
მოუძღვება ოქროს განთიადს
და ტრიბუნაზე
ამ მზესავით ადის პარტია.
რომ სიყვარული
კიდევ უფრო ამოთავთავდეს,
რომ ამ. ყრილობამ
ახალ წინსვლას მისცეს
ხათავე.

ხაქმის დიდებით,
აზრის შუქით რომ
იმარჯნება,
დღეს ამ ყრილობის
ტრიბუნაა კაცის მარჯვენა.
პურის მარცვალს რომ
თავს დაპხარის ხნულში
მთესველი,
დღეს ამ ყრილობის
ტრიბუნაა მისი ფესვები.
გრდემლს ასხლტილი
ნაპერწკლები ცას რომ
შერთვია,
დღეს ამ ყრილობის
ტრიბუნაა იგი ერთიან.
როგორც ვოლგელის
და დონელის ხუნთქვა
ხალახი,
დღეს ამ ტრიბუნას
ჩაეშენა ზვრებიც ალაზნის.
ენგურის ტალღავ,
მწვერვალზე რომ ცისკრად
ახვედი,
ხარ ამ ტრიბუნის
შენაც ერთი გადასახედი.
რომ მომავალმა
აქ ლალი და ქარვა
მოხვეტოს,
დღეს ამ ყრილობის
ტრიბუნა ხარ, შენაც,
კოლხეთო,
ამ ტრიბუნიდან
ხვლემ უფრო უნდა
იელვოს,
მშობელო მიწავ,
ისევ შენდა ბედნიეროდ.
ეს მზე მარადი
წინ მოუძღვის ოქროს
განთიადს.
და ტრიბუნაზე
ამ მზესავით ადის პარტია.
რომ სიყვარული
კიდევ უფრო ამოთავთავდეს,
რომ ამ ყრილობამ
ახალ წინსვლას მისცეს
ხათავე.

ვახტანგ ბორბანელი.

დელეგატის ბრიგადაში

თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ სრულიად საკავშირო ალკკ 50-ე წლისთავის სახელობის კომკავშირულ - ახალგაზრდულმა ბრიგადამ თავის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს მარინე აბულაძეს, რომელიც ახლა მოსკოვში იმყოფება, შეატყობინა, რომ შეასრულეს კომუნისტების საკავშირო ფორუმის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ეს კოლექტივი წარმოების მნიშვნელოვან უბანზე შრომობს, სადაც საბოლოო ოპერაციებს ასრულებს. კოლექტივმა ფაბრიკაში პირველმა მიიღო პირადი დამღის დასმის უფლება.

მ. აბულაძის ბრიგადამ, რომლის შრომით კალენდარზე 1977 წლის მარტიც გადაწყვეტა ყრილობის მუშაობის დღეებში ცვლაში დაგეგმილზე ათასი წყვილით მეტი წინდა დაამზადოს. (საქინფორმი).

კაცი შრომით ეარსებობს

მრავალი წლის ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის ქალის საერთაშორისო წლის გამო რესპუბლიკის ქალთა დიდ ჯგუფს მენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში, სადაც გაიმართა ამ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელების გადაცემა, შეიკრიბნენ ქიმიკოსები, გეოლოგები, ჰიდროენერგეტიკოსები, მშენებლები, რკინიგზელები, დამპროექტებლები, მეტალურგიული, კვების, ხისამშენებელი, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის მუშაკები. რესპუბლიკაში თითქმის არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომ იქ ნაყოფიერად არ შრომობდნენ ქალები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულება.

სიგელები საპატიო წოდების მინიჭების შესახებ დაჯილდოებულთ გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

დაჯილდოებულთაგან გამოვიდნენ: „თბილისკალამშენის“ განყოფილების უფროსი ლ. შენგელი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სამგზავრო განყოფილების უფროსი ინჟინერი მ. ოდიშარია, საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი ა. იოანიდი, თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი ე. ტაბატაძე. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას თავიანთი შრომის დიდი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ მთელ ძალღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მეათე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო-დავალებათა წარმატებით განხორციელების საქმეს.

ვ. სირაძემ გულთბილად და გულითადად მიულოცა საპატიო წოდებით დაჯილდოებულთ. მან აღნიშნა, რომ არასოდეს და არსად მსოფლიოში ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობა არ ყოფილა ისე საუკეთესო, როგორც ჩვენს ქვეყანაში. როგორც ქალთა საერთაშორისო წლის მოამწყობი, რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ, მან დამსწრეთ გააცნო განხორციელებული ღონისძიებები, ხაზი გაუსვა ქალის საერთაშორისო წლის ჩატარების დიდ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ რადგან ერთი წლის განმავლობაში ვერ გადაიჭრა ყველა პრობლემა, რომელიც ქალებს ეხება, მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ათწლეულით გაგრძელდეს ეს ღონისძიება.

დასასრულს მან საპატიო წოდებით დაჯილდოებულ ქალებს უსურვა ახალი წარმატებები მუშაობაში და ბედნიერება პირადს ცხოვრებაში. (საქინფორმი).

არაგველი ქალები

არაგვის თვალწარმტაცი ხეობა. არაგვისპირის გაღლის შემდეგ ვხედავთ: შმაგი მდინარე არაგვის ნაპირებზე მშენებლები ყინვალაქსის კაშხალის მშენებლობას უტმენენ. ცალიმხრივი მთებიც გამოჩნდნენ თავისი მომხიბლავი სიდიადით.

არაგვის ხეობის ზღვარულ მშვენებას რამდენი პოეტის გული აუმღერებია, შთაგონების წყაროდ გაუხდია და შემდეგ მაღალმხატვრული შემოქმედების ნიმუშად ჩვილთათვის შემოუნახავს.

მამულის ბედით დაფიქრებული ჩვენი ერის სასიკეთეო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი ალბათ რარდენ შინაგან სულიერ წქას განიცდიდა, როცა ამ მიდამოებით შთაგონებულმა და მოხიბლულმა ქართლის ბედს დაუკვიმრა საქართველოს მთელი წარსული:

ქართველსა გულმა როგორ
გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი ეხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა
ჩამოხტეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს...

... და დღეს ეს ადგილი არაგვისპირის მეკვნესეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელი ადამიანების გამრჯე მარჯვენამ ვრცელ ხეხილის ბაღნარად გადააქცია, სიდადანაც გამომწვეველად ეკეპტიკებიან ხეხილის ბალები. წვიმის სტრიქონებივით გამწკრივებულ ვენახის რიგებს ზოგ დასასრული აღარ უჩანს. ამ საბჭოთა მეურნეობაში ძირითადი დარგი მცხოველეობაა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებასთან ერთად მეურნეობაში განვითარებულია მეცხვარეობა და მეფრინველეობა.

ყოველდღიური ზრუნვის არ აკლებს მეცხოველეობის განვითარებას არაგვისპირის მეკვნესეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სალომე ჯარიაშვილი. სალომე მეურნეობას 1970 წლიდან განაგებს: ესმის მეურნეობის თვითეული მშრომელის ავი და კარგი. დუშელი ქალიშვილი ბალღობიდანვე ეზიარა შრომასა და ჯაფას. შუახევის აგრონომიკურ სკოლაში, 1965 წელს ინსტიტუტიც დაამთავრა. ხელმძღვანელს კარგად ესმის, თუ რა დიდ მოვალეობას აკისრებს მას სოფლის მეურნეობის რთული საქმიანობა.

სალომე ძთის ნიავივით ერთი მიიდან მეორეზე აივრბა. ვული არ უთმენს: შრომელებს მხარში უდგას, ამხნევებს, თავაზიან სიტყვას ეტყვის, დაარიგებს და თუ რამე არ მოეწონა, გაკვეთებულის ნახელავის ხარისხზე ჩამოუგდებს სიტყვას — ასწავლის.

მეურნეობა პირუტყვის გამოსაკვებად დიდი რაოდენობით იმარაგებს ზამთრისათვის სენაჟს, სილოსს, თივასა და სხვა საკვებს. მეურნეობაში გაერთიანებულია ბარისა და მთის 52 სოფელი, 265 კომლით და 1694 მუშახელით. მათ შორის არის სოფელ არაგვისპირში მცხოვრები საქართველოს სრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამარ ფრიდონაშვილი, იგი მეცხოველობის მესამე ბრიგადის მოწინავე მწველავია. თამარი ამ საპატიო შრომას 1963 წლიდან ეზიარა.

თერჯოლიდან გამოთხოვილი ქალი არაგვისპირელებმა საკუთარი შვილივით მიიღეს. თამარმაც თავისი ერთგული, თავდადებული შრომითა და ოჯახის სიყვარულით თავი ასახელა, უწინარეს ყოვლისა როგორც საუკეთესო დედამ და მეუღლემ. თამარისა ხუთი შვილი აღზარდა, ბუთვეულ მხარში უდგას სოფელს და ლეგზმოსილ დედას.

არაგვისპირელების რძალი 14 შეუვალ ძროხას უვლის და მათგან ყოველდღიურად 90 ლიტრ რძეს იღებს. 1975 წელს მას გეგმით ერთ საფურაე ძროხაზე უნდა მიეღო 1.100 ლიტრი რძე, გამოცდილმა მწველავმა ფაქტიურად 1.545 ლიტრი რძე მიიღო.

როგორ მიაღწია თამარ ფრიდონაშვილმა ასეთ მაჩვენებლებს? აქაში მას ხელი შეუწყო პირუტყვის ბრბამ კვებამ და „ოფლა-პატრონობამ“ და რაც მთავარია ზამთრის პერიოდში მეურნეობა პირუტყვს კვებავს თავთავისა მარცვლოვანი კულტურებისაგან სპეციალურად შეწავებული კომბინირებული საკვებით, სენაჟით, ჭარხლით, სილოსით, უხვი საკვებით. ამის შედეგად მკვეთრად გაიზარდა პირუტყვის წველადობა და ნამატის მიღების პროცენტი.

კარგი მოვლის შედეგად მეურნეობაში ძროხა ერთ წელიწადში ზმირად ორ ხბოს იგებს. საამისო პირობები კი აქ საკმაოდ არის.

თამარ ფრიდონაშვილი ზაფხულობით მთაში იმყოფება: მთიელი ქალაშვილები — მარიამ ბოგოლუბა, ნანა ქეთელაური, მარი და თამარ ლიქოკელები მოწინავე მწველავი ქალისაგან დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას იძენენ. ძველი და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ერთმანეთს უსაზღვრებენ მდიდარ გამოცდილებას.

პირველი ბრიგადის მწველავებს — თამარ და ლიზა ბურჭიტაშვილებს 18-18 მეწველი ძროხა ჰყავთ. ლიზას თვითეულ ძროხაზე გასულ წელს მიღებული აქვს 1.600 ლიტრი რძე, თამარს კი — 1.550 ლიტრი.

დუშეთის რაიონში დიდი ღონისძიება ხორცეულდება მეცხოველეობის მძლავრი განვითარებისათვის. არც ფასანაურის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მეცხოველეობის ფერმა დარჩენილა ვალში. ფასანაურელმა მწველავმა სოფიო მკერვალიძემ დიდი შრომითი გზა განვლო, რამდენიმე წლის წინათ მოკიდა ხელი საკოლმეურნეო საქმიანობას და შეიყარა იგი.

მეცხოველეობა ხომ მთიელი ქალისათვის მეტად რთული, მაგრამ საამაყო პროფესიაა! სოფიო 1950 წლიდან ფასანაურის კოლმეურნეობის მხვლფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის მწველავია და წლების განმავლობაში თავდადებული შრომით, მინდობილი საქმისადმი ფაქიზ დამოკიდებულებით ყველგან აღიარება მოიპოვა.

ასეთი სასახელო მაჩვენებლებისათვის ფერმა დაჯილდოებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ფულადი პრემიით.

ბარაქალა, მთიელო ქალებო, თქვენს პატიოსან და უანგარო შრომას!

ეთერ მაჭავარიანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1976 წლის 22 თებერვალს 53 წლისა გარდაცვალა სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო სახბჭოს დეპუტატი, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი

ვასილ ალექსანდრეს-ძე პაპინაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სოციალისტური შრომის გმირის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირის ვ. ა. პაპინაშვილის დაკრძალვის მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა კომისია, რომელშიც შეიყვნენ ამხანაგები ვ. ი. ვადაჭკორია (თავმჯდომარე), გ. ა. ანჩაბაძე, პ. ზ. ბარსუკოვი, ა. ი. ბუაძე, დ. ზ. ქერეშვილი, შ. ა. თინთბერიძე, ნ. გ. ხაზარაძე, გ. შ. ჩადუნელი, მ. ა. ჭეჭინაძე.

ვ. ა. პაპინაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მომავალ შეხვედრამდე, კვირფასო მეგობრებო!

სოხუმი. 23 თებერვალი. (საქინფორმი). ხელოვნებისა და მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად იქცა აფხაზეთის მშრომელებთან საქართველოს კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი შეხვედრები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობას მიეძღვნა. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს სტუმრად ეწვივნენ საქართველოს კინომსახიობები, მწერლები, კომპოზიტორები, კ. მარჯანიშვილისა და ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრების კოლექტივები.

ხაბოლოო შეხვედრები მოწყო თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან, რომელმაც სოხუმის ხ. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე აჩვენა სპექტაკლი „თვალსაზრისი“ ა. შუქშინის პიესის მიხედვით.

საქართველოს შემოქმედ მუშაკთა შეხვედრები აფხაზეთ მშრომელებთან ხელს შეუწყობს კონტაქტების განმტკიცებას. მომავალში ისინი ტრადიციული გახდება.

XXV

ქართველი პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები — ყრილობას!

დიდ ის დიდი ევზე ერის პარტია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატებს

თქვენ მხოლოდ თქვენი ღიმილი მიგაქვთ
და ფიქრი მიგაქვთ — ზღვადმოვარდნილი? —
არა! ჩვენ ყველგან — აქაც და იქაც —
ერთად ვღაღანებთ მინდვრის ვარდივით!

თქვენ მიგაქვთ ჩვენი თბილი ღიმილი —
ჩვენთვის იმედი, მტრისთვის ისარი
და გზახსნილია ფიქრის ღილივით
ჩვენი ლამაზი სულის მიზანი.

თქვენ მიგაქვთ ზღვათა ღელვა ფრთალაღი,
მთების გუგუნი, ტყეთა შრიალი,
ფერი მაისის ლორთქო ბალახის,
მწვანე კოინდრის, მწვანე ფშიარის.

თქვენ მიგაქვთ ჯერ თვალაუხელელი
მერცხლის ჟღურტული, კვირტის ჩურჩული...
მზისკენ გაწვდილი თქვენი ხელები
მზისკენ გვეძახის მზით გარუჯული.

თქვენ საქართველოს მიგაქვთ ფიქრები
ყველა დიდის და ყველა პატარის...
თქვენ გზას მიჰყვება, თქვენ მზეს მიჰყვება
თქვენი გზა — მზეთა გზების სადარი.

მიდიხართ ჯეჯილთავთავიანი,
ხელხვავიანი, მარანმდიდარი.
მიდიხართ — ცხრა მთა გადაიარეთ
და წინ მიგიძღვით მზე და მზის დარი.

მიდიხართ დიდი, ფართო თვალებით,
ჩვენი თვალებიც თქვენ შეგციმციმებთ.
და სიხარულით რომ ვიმსჭვალებით —
გული თბილ გულთან არ გრძნობს სიცივეს.

დიდება თქვენს გზას, თქვენს გზას — ნათელი,
ბრძოლის ზარი თუ შრომის ზარია,
თქვენი მგზავრია ყველა ქართველი
და საქართველოც თქვენი მგზავრია.

ფრთას შლის დიდი მზე, მიწა ბიბინებს,
ცას ცისარტყელის შუქი არტყია.
ეს ცისარტყელა თქვენ ხართ იგივე
და ის დიდი მზე არის პარტია.

ევგენი გაფრთაია.

ერთსულოვნება

გამოსცა „მერანმა“

„ამ წიგნს ქართველი საბჭოთა პოეტები და გამომცემლობა „მერანი“ ერთსულოვნად უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას“ — ამ სიტყვებით იწყება წიგნის ანოტაცია. ეს არის ქართველ პოეტთა ლექსების კრებული რუსულ ენაზე. მრავალისმთქმელი სახელწოდებით — „ერთსულოვნება“.

შემდეგ ანოტაციაში ნათქვამია: „ქართული მწერლობა ყოველთვის იყო ქართველი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი. ისე როგორც დიდ სამამულო ომში, მან თავდადებული შრომის დროსაც, ანასაკუთრებით კი სახელოვან მიცხრე ხუთწლედში, დიდი შემოქმედებითი აქტიურობა გამოიჩინა. ამ კრებულისათვის შეირჩა ქართველი პოეტების მიერ ძირითადად 1970-75 წლებში დაწერილი ლექსები, რაც მხატვრული სიტყვის ერთსულოვანი წვლილია პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულ კომუნიზმის მშენებლობაში“.

კრებული შეადგინეს სარედაქციო კოლეგიის წევრებმა კ. გალაქტმ, მ. ზავერიანმა და გ. მარგველაშვილმა. მათს გარდა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან: გ. აბაშიძე, მ. ზლატკინი, მ. ფოცხიშვილი. კრებულის შომზადებაში, ცხადია, დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა საბჭოთა პოეტებმა, რომლებმაც ქართული ლექსები რუსულად აამეტყველეს.

გამომცემლობის რედაქტორია ვ. ბირიუკოვი, მხატვარი — ლ. ცუცქირიძე. ტირაჟი — 3.000 ცალი. გვ. 272.



მუსიკოსები — საწარმოში

კარგი ტრადიცია

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად გაშლილ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომითს ენთუზიაზმს მხარიაუჭეს ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებმა. ქართველი კომპოზიტორები ენერგიულად ებმებიან ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში. დაიწერა შრომის თემაზე და ყრილობისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, მუსიკოსები ხშირად ხვდებიან მშრომელებს თავიანთი ანგარიშებით, მათ ბევრი საწარმოს კოლექტივებთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

საერთო მიზანს — სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის მიუძღვნი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა თბილისის სართავ-სატრიოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში გამართული შეხვედრა-კონცერტი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივნის მოადგილემ კ. ჩუხრუკიძემ.

კომპოზიტორებმა, მუსიკისმცოდნეებმა ისაუბრეს თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე, იმაზე, თუ რით ხვდებიან ქართველი კომპოზიტორები სკკპ XXV ყრილობას.

დასასრულს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერულმა გუნდმა გამართა კონცერტი (ხელმძღვანელი ი. დადიანი).

გულთბილი შეხვედრა მოეწყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანაშიც. მუშებს ეწვივნენ კომპოზიტორები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ბ. კვერნაძე და შ. მელორავა, ახალგაზრდა კომპოზიტორები ა. რაქვიაშვილი და გ. სიხარულიძე.

კარგ ტრადიციად იქცა გასვლითი კონცერტები და ქართული მუსიკის მოღვაწეების რესპუბლიკის რაიონების მშრომელებთან შეხვედრები. ასეთი შეხვედრა-კონცერტი შედგა ქ. მადნეულში კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით. შეხვედრაზე დაიდო ხელშეკრულება მოდგმივ შეფობაზე. ხელშეკრულების საფუძველზე კომპოზიტორთა კავშირი რეგულარულად გაუწევს დახმარებასა და კონსულტაციებს ადგილობრივ მხატვრულ თვითშემოქმედებას.

ვ. ჩუბინიძე.

მხატვარმა დინარა ნოდიამ ეს ნახატები კომუნისტთა დიდ ფორუმს — XXV ყრილობას მიუძღვნა. ზემოდან ქვემოთ — „თბილისის დილა“, „მეტრომშენებლები“, „ახალი პლანეტები“.

ვ. პაპინაშვილი



რესპუბლიკის მუშათა კლასის რიგებს გამოაკლდა ცნობილი ოსტატი, სკკპ წევრი 1947 წლიდან, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ხელმოხვეჭილი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი **ვასილ ალექსანდრეს-ძე პაპინაშვილი.**

ვ. პაპინაშვილი დაიბადა 1924 წელს კასპის რაიონის სოფელ ყარაღაჯში მუშის ოჯახში. 1941 წელს, 17 წლის ასაკში, ვ. პაპინაშვილი ზეინკლის მოწაფედ იწყებს მუშაობას თბილისის. სტალინის სახელობის ორთქლმავალთაგონშემკეთებელ ქარხანაში. 1942-1945 წლებში იგი სამშობლოს დამცველთა რიგებშია. დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე ვ. პაპინაშვილი მშობლიურ ქარხანას უბრუნდება და ზეინკლად იწყებს მუშაობას. 1948 წლიდან კი, როგორც სამაგალითო მუშას, ავტომუხრუჭების ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელობას ანდობენ. ამ უბანზე იგი მუშაობდა თავდადებით და ენერგიულად მთელი თავისი ნათელი ცხოვრების **მანძილზე.**

ვ. **პაპინაშვილი** შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლეოდა და ამ მაგალითზე იზრდებოდა ელმავალმშენებელთა არაერთი თაობა. იგი მრავალი შესანიშნავი თაოსნობის წამომწყები და ორგანიზატორი იყო. ახალი რეაღერძანი მაგისტრალური ელმავლების გამოშვების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, ბრიგადას, რომელსაც ვ. პაპინაშვილი ხელმძღვანელობდა, რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მის თავდადებულ შრომასა და მოღვაწეობას. 1966 წელს ვ. პაპინაშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და უროო“. დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის მრავალი მედლით. ამავე წელს მან მიიღო საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება.

1961 წლიდან ვ. პაპინაშვილი არჩეული იყო ჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრად, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრად. 1962 წელს ვ. პაპინაშვილი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI მოწვევის დეპუტატად.

ვ. პაპინაშვილი იყო გულისხმიერი მეგობარი და ახალგაზრდა თაობის სანიმუშო აღმზრდელი. მისი სახით სამამულო ელმავალმშენებლობას გამოაკლდა საკმაოდ დიდი ოსტატი, მკლავმოუღლელი მუშაკი და შესანიშნავი მოქალაქე.

ვ. პაპინაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, თანამოსაქმეთა და ფართო საზოგადოების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

ვ. ა. პაპინაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24 და 25 თებერვალს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (ავჭალის გზატკეცილი, 25, II სადარბაზო). 26 თებერვალს ვ. ა. პაპინაშვილის ცხედარს გადაასვენებენ სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლში (ოქტომბრის ქუჩა, № 27, ლენინის რაიონი). განსვენებულთან მშრომელთა გამოთხოვება — დღის 1 საათიდან 3 საათამდე, გამოსვენება — დღის 3 საათზე, დაკრძალვა — საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (საბურთალო).

უკანასკნელ საათს

ჩინეთის ხელისუფლებამ ნება არ დართეს

პეკინი. (საკდსი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნება არ დართო სსრ კავშირის პეკინის საელჩოს თანამშრომლებს, რომ საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის დღესთან დაკავშირებით წასულიყვნენ ქალაქებში ხარბინში, დალნიში, შენიანსა და ჩანჩუნში, რათა გვიგვიანებით შეემჩნიათ იმ საბჭოთა მეომრების საფლავები, რომლებიც დაიღუპნენ იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს

ჟენევა. (საკდსი). აქ მუშაობას განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის 32-ე სხდომა. სესიის მონაწილეები ახლა განიხილავენ ადამიანის უფლებათა პატივისცემის შემდგომი წახალისებისა და განვითარების საკითხს. მათს განსახილველად სსრ კავშირის დელეგაციამ ბელორუსის სსრ და ბულგარეთის დელეგაციებთან ერთად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თვითეულ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების პირობებში.

საქმიანი ურთიერთობისათვის

ვაშინგტონი. (საკდსის კორ.). ამერიკის საქმიანი წრეები სულ უფრო მეტად დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებით. უაღრესად ძმაყოფილი ვართ, რომ ჩვენი კორპორაციის ოთხმა ფირმამ უკვე დაიწყო პროდუქციის გაცვლა საბჭოთა კავშირთან და ამ გაცვლის მასშტაბი იზრდება, განაცხადა საკდსის კორესპონდენტთან საუბარში „ამე-კოლიერენდ კორპორეიშნის“ პრეზიდენტმა ჯ. კუპერმა. ვაწოდებთ რა საქონელს საბჭოთა კავშირს, თქვა მან, ჩვენი მხრივ ვიღებულობთ ჩარხებს მარკით „დამზადებულია სსრ კავშირში“. ეს თანამშრომლობა ურთიერთსარგებლიანია და ჩვენც, ბუნებრივია, დაინტერესებული ვართ, რომ იგი გაგრძელდეს, აღნიშნა ჯ. კუპერმა. უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციები მეტად საიმედო პარტნიორები არიან.

დროთა ცოცხალი კავშირი

მეგობრობის მუზეუმში

22 თებერვალს თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დარბაზებში მოვიდნენ ხუთწლედის გმირები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებნი, კომკავშირელები და პიონერები. აქ მოვიდნენ ადამიანები, რომლთა სახელები და საგმირო საქმეები მუზეუმის ექსპოზიციებშია აღბეჭდილი. თაობათა წარმომადგენლების შეხვედრამ გამოავლინა დროთა ცოცხალი კავშირი, ქართველი, რუსი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მეგობრობის მატიანის ნათელი ფურცლები.

მუზეუმის სტუმრებთან შესახვედრად მოვიდნენ საქართველოში სტაპანოვური მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე, სახელოვანი პარტიზანთა მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი; რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ი. აბაშიძე და ვ. კუპრაძე, გენერლები ნ. კალაძე, ვ. ზარელუა, მ. ნაზაროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. დავიდოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ჯაბიძე და რესპუბლიკის სხვა წარჩინებული ადამიანები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა თ. ბადურაშვილმა დამსწრეთ წარუდგინა ძვირფასი სტუმრები.

უდიდესი ყურადღებით ისმენენ ახალგაზრდები მათ ნაამბობს იმ საგმირო საქმეებზე, რომლებიც მთელი ცხოვრებით იყო მომზადებული და დიდიხანია უკვე მისაბაძ მაგალითად იქცა.

ექსპოზიციები წარსულის გმირულ ფურცლებს გვახსენებენ.

აგერ, დავით ჯაბიძე დგას სტენდთან „ქართველები ლენინგრადის ფრონტზე“. 1942 წელს ლენინგრადთან მან გატარნა ფაშისტური „იუნკერსი“. მსმენელთა დიდი ჯგუფი შემოიკრიბა ალექსი ჯახიევმა. იგი მეთაურობდა სახელგანთქმულ ინტერნაციონალურ მატარებელს — 53, რომელიც თბილისის ორთქმავალვაგონშემკეთებელმა ქარხანამ აღჭურვა 1941 წელს მოსკოვის დასაცავად.

თამარ ჯაფარიძე მეჩერდა ვიტრინასთან, სადაც მინის ქვეშ დევს წერილი, რომელიც „ნიკიტოვკა 4-5“ შასტის კოლექტივმა გამოუზავნა მის სახელზე. იგი ომისშემდგომ წლებში დონბასის აღდგენაში მონაწილეობდა, სადაც მთავარ ინჟინრად მუშაობდა.

მუზეუმის ექსპონატებს შორის არის ლადო გუდიაშვილის ჩრავიურები, ირაკლი აბაშიძის ცნობილი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც მიეძღვნა კავკასიის დაცვას, ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი სხვა ნაწარმოები, რომლებშიც აისახა საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა დიდ სამამულო ომსა და მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში. დღეს მუზეუმში მოვიდნენ შინმოუსვლელთა დედები და ცოლები. ხალხი წმინდად სცემს პატივს მათ ხსოვნას.

მუზეუმში მოვიდა ბევრი ბავშვი. აქ, საბრძოლო და რევოლუციური დიდების რელიქვიებთან, მათ იღებენ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის რიგებში.

თბილისის მეგობრობის მუზეუმში სკკპ XXV ყრილობის წინ, საბჭოთა საქართველოს 55-ე წლისთავის დღეებში მოწყობილი შეხვედრა ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანების მეგობრობისა და ძმობის, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების ამაღელვებელ დემონსტრაციად იქცა. (საქინფორმი).

სტუმრად საძოვრებზე

თელავი. (საკ. კორ.). სარაიონო კულტურის სახლის აგიტბრიგადა ამ დღეებში მწყემსებს ეწვია შირაქის ზამთრის საძოვრებზე. ბრიგადის წევრები, რომელთაც რაიონის ბაღმსკმის კულტურის განყოფილების ინსპექტორი შ. კობიაშვილი ხელმძღვანეობდა, მწყემსებს ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

შეკრების შემდეგ გაიმართა სალამო, რომელშიც მონაწილეობდნენ მეფეფუკეთა ანსამბლი ჯ. ზაალიშვილის ხელმძღვანელობით და თოჯინების სახალხო თეატრი, მწყემსებს უჩვენეს სახალხო კინოსტუდიის ნაწარმოება — ფილმი რაიონის ცხოვრებიდან.

ა. თვალიაშვილი.

ამინდი

გუშინ 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოში ყველგან უნალექო ამინდი იდგა. თერმომეტრი ბარში წყლის ზემოთ 6-8 გრადუსს უჩვენებდა, მთაში კი 1 გრადუს ყინვას — 3 გრადუს სითბოს.

აღმოსავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იყო, გემპერატურა ბარში 0-4 გრადუსი სითბო აღინიშნა, მთაში თერმომეტრი ნულს ქვემოთ 3-7 გრადუსს უჩვენებდა.

გუშინ თბილისში მზე კაშკაშებდა და 13 საათისათვის გემპერატურა 4 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ საქართველოში 13 საათისათვის ყველაზე დაბალი გემპერატურა — 7 გრადუსი ყინვა ახალქალაქში აღინიშნა, ხოლო გაგრაში 8 გრადუსი სითბო იყო.

დღეს თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, ნისლი, უმნიშვნელო თოვლი და სუსტი ქარია მოსალოდნელი. თერმომეტრი 2-4 გრადუს სითბოს აღნიშნავს.

საქართველოს მთა-ბარში

ტელევიზია

24 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.50 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გახსნა. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — მოსწავლეთათვის — „საშიმი კონცერტი“ — ფერადი გამოსახულებით, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — „ჩვენი თანამედროვე“, 18.00 — „ყრილობიდან ყრილობამდე“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელი 1975“ (პრემიერა), 19.00 — „ყრილობის დღიური“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — კონცერტი, 20.00 — „მომმბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — „ჩვენი მისამართი — საბჭოთა კავშირი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

25 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული სალხური მუსიკა, 16.30 — პოპულარული ქართული საოპერო მუსიკა, 17.15 — ლ. ისაკაძის კონცერტი, 17.40 — ყველაზე ჯატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.00 — სკკპ XXV ყრილობაზე — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — საქართველოს სომეერისა და ცმკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 16.45 — ა. გლაზუნოვი. საბალეტო მუსიკა, 19.00 — „საბჭოთა საქართველო 55 წლისაა“, 19.15 — ვ. სოლოვიოვ-სედოის სიმღერები, 19.45 — რ. ვაბიჩვაძე, კამერული სიმფონია, 20.45 — მსუბუქი მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.00 — „მოგიღოცავთ დღეის დღესა!“, 23.00 — სკკპ XXV ყრილობაზე — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

24 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **დასასრული;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **თვალი პატიოსანი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **კურკას ქორწილი.**

ფეხბურთი

კალენდარი დადგენილია

ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის, როგორც ცნობილია, წლეულს ორჯერ გაიმართება თითო წრედ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე. დადგენილია გაზაფხულის ჩემპიონატის კალენდარი. აი, როდის, ვისთან და სად (პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე) ითამაშებს თბილისის „დინამო“: **4 აპრილს** — „დინამო“ — ცსკა; **10 აპრილს** — „დინამო“-„სპარტაკი“ (მოსკოვი), **18 აპრილს** — „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„დინამო“, **25 აპრილს** — „დინამო“ (მინსკი)-„დინამო“ (თბ); **2 მაისს** — „დინამო“-„კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი), **9 მაისს** — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)- „დინამო“, **14 მაისს** — „დინამო“-„კარპატი“ (ლვოვი), **19 მაისს** — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„დინამო“; **23 მაისს** — „დინამო“ (კიევი)-„დინამო“ (თბ), **1 ივნისს** — „დინამო“-„ზარია“ (ვოროშილოვგრადი), **8 ივნისს** — „შახტიორი“ (დონეცკი)-„დინამო“, **15 ივნისს** — „დინამო“-„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), **22 ივნისს** — „არარატი“ (ერევანი)-„დინამო“, **6 ივლისს** — „დინამო“-„ტორპედო“ (მოსკოვი), **13 ივლისს** — „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბ).

მძლეოსნობა

ექვსი ჩემპიონი

მიუნხენის „ოლიმპიახალში“ დამთავრდა ევროპის ზამთრის ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ ასპარეზობაში ექვსი ოქროს მედალი მოიპოვეს. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ვიქტორ სახნევის წარმატებაზე. მას მხარი დაუმშვენეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიეველებმა ვალერი ბორზოვმა (60 მეტრი — 6,58 წამი), იური პროხორენკომ (ჭოკი — 5 მ და 25 სმ), სერგეი სენიუკოვმა (სიმაღლეზე ხტომა — 222 სმ), მოსკოველმა ლიდია ალფეევამ (სიგრძეზე ხტომა — 664 სმ), ფინელმა ვიქტორ მიასნიკოვმა (თარჯრბენი — 60 მეტრი — 7,78 წამში).

როცა ევროპის მძლეოსნები ერთმანეთს კონტინენტის პირველობას ეცილებოდნენ, ამერიკელმა სტუდენტმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში დუაიტ სთოუნზმა კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოში გამართულ შეჯიბრებაზე ახალი მსოფლიო მიღწევა უჩვენა დახურული დარბაზებისათვის — 230 სანტიმეტრი.

შაბამს გდრ-ის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე გიიმარჯვა ტრადიციულ ამხანაგურ მატჩში საბჭოთა თანატოლებთან — 113:110.

ჭიდაობა

ორი ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო

ქვირას ულიანოვსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი კლასიკური სტილით ჭიდაობაში. შეჯიბრებაში კარგად ისაპარეზეს ქართველმა ფალავნებმა. ქვეყნის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისელებმა **მ. სალაძემ** (მწვრთნელი ვ. მაისურაძე) და **ი. ბერიშვილმა** (მწვრთნელი — ლ. დავითაია). პირველმა ფინალში დაამარცხა სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონი კიეველი დ. ზაგორნიაკი, მეორემ — მსოფლიოს ჩემპიონი ალმაათელი ა. ბიკოვი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ა. მაისურაძემ, ხოლო **ვ. ბლაღიძეს** ბრინჯაოს მედალი **ხვდა.**

ციგურები

პირველად პირველი

ქალთა შორის ციგურებით რბოლაში წლეულს 34-ჯერ ჩატარდა მსოფლიო პირველობა (იგი შვეიცარიის ქალაქ ივენიში გაიმართა) და პირველად მრავალჯიდში დიდი ოქროს მედალი მოიპოვა კანადელმა სპორტსმენმა სილვია ბურკამ. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გორკელი ტატიანა ავერინა მეორე ადგილზეა, ხოლო ბრინჯაო ამერიკელმა შილა ინგმა მოიპოვა, რომელმაც ორივე სპრინტერული დისტანცია მოიგო და ლიდერობდა პირველი დღის შემდეგ.

მოკლედ

ხელგურთი. ზაპოროჟიეში გრძელდება ვაუთა საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად მან დაამარცხა კიევის სკა — 23:20. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: მინსკის სკა-ლვოვის სკა — 27:26, ცსკა-მაი — 26:22, ზაპოროჟეცის ზას-ი-მოსკოვის „კუნცევო“ — 23:27.

ჩიგბურთი. მოსკოვში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ქალთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა რაუზა ისლანოვამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა გამოცდილი მეტოქე — კიეველი გალია ბაკაევა — 1:6, 6:4, 6:3. ვაკეთა შორისაც მასპინძელმა მოიპოვა პირველობა — ვადიმ ბორისოვმა სძლია თანრლისელ თეიმურაზ კაკულიას — 6:3, 6:3, 7:6. ბორისოვსა ტომას ემორისთან (გდრ) წყვილში კიდევ ერთი ზირველი ადგილი დაისაკუთრა ქალთა დუეტებში კი უძლიერესნი იყვნენ ბაკაევა — ლიდია ზინკევიჩი (ტალინი). შერეულ წყვილებში პირველობა არავის დაუთმეს მინსკელმა სვეტლანა კორზუნმა და მოსკოველმა ვლადიმერ კოროტკოვმა.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-07, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განუოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-42-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 93-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-53-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-53.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲒᲔ 08699

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14